

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საგანგებო განცხადება 13 მარტს ტელეკომპანია "იმედი"-ს ეთერში გასულ გადაცემასთან დაკავშირებით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ 2010 წლის 13 მარტს, 20:00 საათზე ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ქრონიკაში“ გასული სიუჟეტი არღვევს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონსა და საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ქრონიკა 20:00 საათზე მაყურებელს მოუთხრობდა ოკუპირებულ ახალგორის რაიონში დისლოცირებული რუსეთის რეგულარული არმიის დაგზგუფებისა და სატანკო ბატალიონის მიერ გამოცხადებული სრული სამხედრო მზადყოფის, მათ მიერ გეზის დედაქალაქისაკენ აღების ალბათობის, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში არსებული პანიკის, მაღაზიებში და ბენზინგასამართ სადგურებში არსებული რიგების შესახებ. “საომარი ამბების” ქრონიკა, ყოველგვარი გამაფრთხილებელი წარწერის გარეშე, დაახლოებით 30 წუთს გრძელდებოდა, რამაც მაყურებელს შეუქმნა იმის განცდა, რომ რეალურ ახალ ამბებს ისმენდნენ იმედის ეთერში.

საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტს თანახმად “აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში დადგმებისა და ინსცენირების გამოყენებისგან, ან ნათლად უნდა განმარტოს, რომ ეს არის დადგმა ან ინსცენირება. დოკუმენტური ან რეალური ფაქტების ყოველი სამაუწყებლო რეკონსტრუქცია უნდა იყოს ნათლად მითითებული.”

გადაცემა „ქრონიკა“ საინფორმაციო გადაცემაა და მისი ძირითადი მიზანი ახალი ამბების გაშუქებაა. გარდა ამისა, 2010 წლის 13 მარტის 20:00 საათზე გასული გადაცემა ეხებოდა თემას, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. საიას აზრით, ეს ორი გარემოება საკმარისი იყო იმისათვის, რომ ტელეკომპანია „იმედს“ დადგმებისა და ინსცენირების გამოყენებისგან თავი შეეკავებინა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განაცხადა, რომ, „ჟურნალისტის “მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების” განსაზღვრისას მნიშვნელოვანი ფაქტორია პუბლიკაზე პოტენციური ზეგავლენა და საზოგადოება აღიარებული, რომ აუდოვიზუალური მედიას ხშირად უფრო სწრაფი და ძლიერი ეფექტი აქვს ვიდრე ბეჭდურ მედიას“.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ხაზს უსვამს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას, რაც შეიძლება გულისხმობდეს დადგმებისა და ინსცენირების გამოყენებასაც. თუმცა, ელექტრონული მედიის ზეგავლენის მასშტაბიდან გამომდინარე და იმ ზიანის გათვალისწინებით, რაც შეიძლება მედიამ ამ გავლენის პირობებში მიაყენოს საზოგადოებას, მოუწოდებს ჟურნალისტებს, დაიცვან ეთიკური სტანდარტები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოუწოდებს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, გამოიყენოს მაუწყებლობის შესახებ კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულება და დააკისროს შესაბამისი სანქცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ტელეკომპანია „იმედს“.